

ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნურ უჯრედებში ზრდის შემაკავებელი
ენდოგენური ფაქტორის იდენტიფიცირება და შედარებითი შესწავლა

ნოდარ ხვედელიძე (ბაკალავრი)

ელ. ფოსტა: nodokhvedelidze7@gmail.com

ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ძიბიგური

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, მორფოლოგიის კათედრა

საკვანძო სიტყვები: თეთრი ვირთაგვა, ზრდის ფაქტორი, პროსტატის სიმსივნე, პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, კალმოდულინი

სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ დღეისათვის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ყალიბდება ბიოთერაპია, რომელიც გულისხმობს ზრდის ფაქტორების და/ან მათი ინჰიბიტორების გამოყენებით ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმების აქტივაციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზრდის შემაკავებელ ენდოგენურ ფაქტორებს, რომლებიც სიმსივნურ უჯრედებზე ზემოქმედების დროს არ ახდენენ ქიმიური პრეპარატების მსგავს ტოქსიკურ ზეგავლენას სხვა ქსოვილების უჯრედებზე.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნურ უჯრედებში ზრდის შემაკავებელი ენდოგენური ფაქტორის იდენტიფიცირება და შედარებითი დახასიათება.

ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნური ქსოვილის უჯრედებიდან (ტრანსურეტრული ელექტორეზექციის შედეგად მიღებული პოსტოპერაციული მასალა) სპირტული ექსტრაქციის მეთოდით გამოყოფილი და და ნაწილობრივ გასუფთავებული იქნა ენდოგენური თერმოსტაბილური ცილების კომპლექსი. პოლიაკრილამიდის გელში შედარებითი ელექტროფორეზული ანალიზით გამოვლინდა, რომ აღნიშნული კომპლექსი შეიცავს ცილების ორ ქვეჯგუფს: შედარებით მაღალმოლეკულური (40-60)კდ და დაბალმოლეკულური (12-14კდ) კონტროლად გამოყენებული იყო ვირთაგვას სხვადასხვა ქსოვილიდან მიღებული ცილოვანი კომპლექსების ნიმუშები. გამოვლინდა, რომ ადამიანის კეთილთვისებიანი სიმსივნური ქსოვილების უჯრედებში კომპლექსის დაბალმოლეკულური კომპონენტი, ცილა კალმოდულინი მინორული რაოდენობით არის წარმოდგენილი. იმუნოჰისტოქიმიური ანალიზით დადსტურდა ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნური ქსოვილების უჯრედებში კალმოდულინის მინორული შემცველობა.